

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის  
ოქმი N39

ქ.თბილისი

26 აპრილი, 2024 წელი  
16<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

ლილე ლიპარტელიანი

აკაკი ალაძაშვილი

ნათია მოდებაძე

ლევან არველაძე

ირაკლი ნადირაძე

ვლადიმერ ბოჭაძე

შალვა ოგბაიძე

საბა ბუაძე

გიორგი ონიანი

ანა გოგოლაძე

გურამ ოქროპირიძე

არჩილ გორდულაძე

ნინო რუხაძე

მამუკა გუგეშაშვილი

რევაზ სოხაძე

ლევან დავითაშვილი

ვახტანგ სურგულაძე

ირაკლი ემგვერაძე

დავით ფარცვანია

ნინო ვარდოსანიძე

ზურაბ ჩიგვილაძე

მარიამ ზაქარიაშვილი

გივი ჩხარტიშვილი

მიხეილ კაკაურიძე

ნინო წულაძე

ნიკოლოზ კახეთელიძე

ირაკლი ხელაძე

ნინო კვიტაიშვილი

ალექსანდრე ხუჯაძე

ანა კილაძე

ლევან ჯაფარიძე

ზვიად კუპრავა

ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

კახაბერ ლაბუჩიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ გოგიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილები: ვასილ აბულაძე, ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი ნინო ჯაფარიძე;

თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე ქვარა ჩართოლანი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, თბილისის საკრებულოში გარდაიცვალა აპარატის ორი თანამშრომელი: ლია კუსრაძე და ჯაბა კვარაცხელია და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ წუთიერი დუმილით პატივი მიეცოთ მათი ხსოვნისთვის, რის შემდეგაც, სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო გარდაცვლილების ხსოვნას. გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ბოლო დღეების განმავლობაში მოვისმინეთ ძალიან ბევრი შეურაცხმყოფელი განცხადება და ტყუილი, რაც, რა თქმა უნდა, არის მიზანმიმართული პროპაგანდა, რათა ადამიანები შეცდომაში იქნან შეყვანილნი. აბსურდი და ტყუილია იმაზე საუბარი, თითქოს „ქართული ოცნება“ იღებს ევროკავშირის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს, რადგან სწორედ დღევანდელი ხელისუფლება არის ის ხელისუფლება, რომელმაც ქვეყანას მოუტანა ვიზალიზერალიზაცია და, ქართველ ხალხთან ერთად, მიიღო ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსი. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ამ ყველაფერს აქვს თავისი ემოცია და მიმართა კოლეგებს, იყვნენ მაქსიმალურად კორექტულები და კონსტრუქციულები.

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ, პირველ რიგში, სურს გამოეხმაუროს ევროპის პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას, რომლის ინიციატორებიც, მისი თქმით, იყვნენ ის ევროპარლამენტარები, რომლებიც დაკავშირებული არიან „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და მის სატელიტ პარტიებთან საქართველოში და ხშირად გამოდიან ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ, რაც კარგად ჩანს მათი განცხადებებიდან. ეს რეზოლუციაც ემსახურება იმას, რომ „დაშანტაქდეს“ ქართული სახელმწიფო და საზოგადოება, რასაც ქართველი ხალხი არ მიიღებს. მისი თქმით, რეზოლუციის პროექტში აფხაზეთი მოხსენიებული იყო ცალკე სახელმწიფოდ და სწორედ აქ ჩანს თუ რა დამოკიდებულება აქვთ ქართული სახელმწიფოს მიმართ იმ ადამიანებს, რომლებიც ადგენდნენ ამ რეზოლუციას. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ მთავარი დევიზი, რომლითაც დღეს ქართული სახელმწიფო არსებობს, არის „ენა, მამული, სარწმუნოება“ და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „რატომ მოხდა ისე, რომ სარწმუნოება აღარ არის?.. მართლმადიდებლური სარწმუნოება აღარ უნდა იყოს საქართველოში?.. რომ ყოფილიყო ენა, მამული, სარწმუნოება, ერთობა, მივესალმებოდით. მაგრამ, სარწმუნოების გარეშე გინდათ თქვენ ეს ქვეყანა იყოს?.. კი ბატონო, ეს თქვენი არჩევანია. ჩვენი არჩევანია „ენა, მამული, სარწმუნოება“ - ამ დევიზით გავდივართ ჩვენ ორშაბათს და უამრავი ადამიანი შემოგვიერთდება, დარწმუნებული ვარ. წარმატებები საქართველოს ევროპულ მომავალს“.

ირაკლი ხელამემ განაცხადა: „ჩემი გამოსვლის მთავარი ადრესატი იქნება გუშინდელი ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია, სადაც ბიძინა ივანიშვილის დასანქცირების მოთხოვნაზე რეკომენდაცია გაცემული. ადამიანზე, რომელმაც საკუთარ ქვეყანას, საკუთარი სახსრებით, ძალიან ბევრი სიკეთე გაუკეთა. ამავდროულად, ამავე რეზოლუციაში, მოხსენიებულია, რეკომენდაციის სახით, დამნაშავე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, გათავისუფლების საკითხი... ეს ჩვენთვის ვერ იქნება ევროპული სტანდარტი. ეს ჩვენთვის ვერ იქნება ევროპული ღირებულებები. ამას ქართველი ხალხი, ვინც არ უნდა იყოს ამის ავტორი, არ მიიღებს. საქართველო არ გეგონოთ თქვენს მფლობელობაში არსებული მოღალატე პოლიტიკოსების და „წურბელების“ ქვეყანა. საქართველო არის თავისუფალი, ამაყი ხალხის ქვეყანა. რაც არ უნდა მოხდეს, ქართველი ხალხი დაიცავს საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს. ჩვენ, ყველა ერთხმად, ვიძახისა, რომ მის სააკაშვილი არ უნდა გათავისუფლდეს. აუცილებლად ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი პარლამენტში დაწყებული პროცესები და კანონპროექტმა გამჭირვალობის შესახებ უნდა მიიღოს კანონის სახე და უნდა იქნას მიღებული, აუცილებლად ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგოდ კანონი უნდა იყოს მიღებული - აი, ეს არის ჩვენი დევიზი, აი, ეს არის ჩვენი ამოცანა, ჩვენი პოლიტიკური გუნდის და ქართველი ხალხის. აი, ეს არის მთავარი მიზანი, რომ საქართველო და ქართველი ხალხის მომავალი დავიცვათ ყოველგვარი უმსგავსობისგან და ამას, აუცილებლად, ერთად დგომით, ჩვენ შევძლებთ. შეიძლება ამ ადამიანებისთვის, ვისაც მე მივმართავ, ჩვენი აზრი დიდად გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანი არ იყოს, მაგრამ იცოდეთ, ჩვენთვის არის ეს

ქვეყანა მალიან მნიშვნელოვანი, მალიან ძვირფასი. ამიტომ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, 29 აპრილს, თქვენ ნახავთ თავისუფალი, ღირსეული საქართველოს მოქალაქეების პროტესტს. 29 აპრილს თქვენ ნახავთ გამორიცხული მოქალაქეების პროტესტს, რომლებსაც პატივისცემის გარეშე ეპყრობიან ევროპარლამენტარები თუ ვინც არ უნდა იყვნენ. პირველ რიგში, არის ჩვენი ქვეყნის ინტერესები, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და ჩვენი ქვეყნის მთავარი მიზანი - სუვერენიტეტის გაზრდა. ამიტომ, ყველას მოვუწოდებ, ღირსეულ მოქალაქეს, რომ დავდგეთ ერთად ყველა, დავდგეთ 29 აპრილს 20<sup>th</sup> საათზე პარლამენტის შენობასთან, ერთად დავიცოათ მამული, ენა, სარწმუნოება. არცერთი ნაბიჯი უკან, მიუხედავად ბულინგისა, მიუხედავად ამ თითქოს დისკრედიტაციისა ამ აქციის, არცერთი ნაბიჯი უკან, წინ, ევროპისკენ ღირსებით და საქართველო უპირველეს ყოვლისა.“

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა მიმართა „ქართული ოცნების“ წევრებს: „თქვენ მალიან აღშფოთდით იმ ტექნიკური შეცდომით, რაც მოხდა რეზოლუციასთან დაკავშირებით, თუმცა, თქვენივე ხელისუფლება არის ის ხელისუფლება, რომელსაც აქვს „დაფოლოვებული და დალაიქებული“ სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს გვერდი. იქნებ ამაზეც იფიქროთ. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, მინდა შეგახსენოთ, რომ საქართველოს მოქალაქეების 60% არის მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მომზრე“. განაცხადა, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკაში თუ რამე არის მუდმივი, ეს არიან საქართველოს მოქალაქეები, ეროვნების, ასაკის და სარწმუნოების განურჩევლად და მიმართა ირაკლი ხელაძეს: „საქართველო არის მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური სახელმწიფო და ამ მოქალაქეების უმრავლესობას უნდა ერთობა, ევროპულ და დასავლურ ინტეგრაციასთან დაკავშირება, რადგან ევროპაში არის ბევრად უფრო მეტი ეკონომიკური შესაძლებლობები, არის ბევრად ხარისხიანი განათლება, არის ღირსეული სიბერე, უფრო მეტი დაცულობა და უსაფრთხოება. მაგრამ, თქვენ ეს, როგორც ჩანს, არ გაინტერესებთ, იმიტომ, რომ თქვენ მხოლოდ და მხოლოდ პირად ინტერესებზე და ბატონი ივანიშვილის მილარდებზე ხართ ორიენტირებული და ამ მილარდებისთვის და თქვენი პირადი ინტერესებისთვის საჭიროა „რუსული კანონი“, რომლის შემოტანასაც ცდილობთ და არავინ მითხრას, რომ ეს კანონი არ არის რუსული იმიტომ, რომ ქართული შრიფტით არის აწყობილი. ეს კანონი არის რუსული, სამიზნის ჯგუფიდან და სულისკვეთებიდან გამომდინარე“. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ხელისუფლებას, რომელსაც დაკარგული აქვს ბმა თავის ამომრჩეველთან და მოქალაქეებთან, განწირულია. ამ ბრძოლაში ბოლო სიტყვა აქვს ქართველ ამომრჩეველს 26 ოქტომბერს და არა 29 აპრილს და კიდევ ერთხელ მიმართა „ქართული ოცნების“ წევრებს: „მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ხართ იმის იმედით, რომ კვლავ მოისყიდით ამ ქვეყანას, კვლავ ხართ „ხელის გადაგრეხვის“ და ძალადობის იმედად, მაინც წააგებთ ამ არჩევნებს და ეს ქვეყანა აუცილებლად წავა ევროპისკენ.“

ლილე ლიპარტელიანმა მიმართა „ქართული ოცნების“ წევრებს: „გადაწყვეტილება მივიღე, რომ „რუსული კანონის“ მიღების შემთხვევაში, თქვენ აღარ მოგესალმებით და ისე ვატყობ, რომ დღეს ჩემი ბოლო მოსალმებაა“. მან, ასევე მიმართა ირაკლი ხელაძეს და ზურაბ აბაშიძეს: „ბატონო ირაკლი, მართალია, თქვენ სამხედრო ვალდებულებას სამშობლოს წინაშე თავი აარიდეთ და ეკლესიას შეაფარეთ თავი, მაგრამ იქაც ვერ გისწავლიათ ვერაფერი. ეკლესია, პირველ რიგში, საზოგადოებას, ერთობას ნიშნავს. ბატონო ზურაბ, „ენა, მამული, სარწმუნოების“ ქვეშ, სად ამოიკითხეთ, რომ ილია ჭავჭავაძე მართლმადიდებლურ სარწმუნოებას გულისხმობდა მხოლოდ და მხოლოდ? რით ხართ აჭარელ მუსლიმებზე, ჩვენ ქართველ ძმებზე, უკეთესი? არასდროს სარწმუნოებაზე არ ვსაუბრობ, მაგრამ დღეს გამონაკლისი იქნება - მიხარია, რომ ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომ შემიძლია სიყვარული, შემიძლია თანაგრძნობა, გაზიარება, მოყვასის სიყვარული შემიძლია, თქვენგან განსხვავებით. სარწმუნოებაზე და მართლმადიდებლობაზე საუბრობთ და „ბოლმა და ზიზღი ამოგდით პირიდან“. ეს არის თქვენი სარწმუნოება და მართლმადიდებლობა? სიყვარული და ადამიანობაა სარწმუნოება და არაფრით თქვენზე ნაკლებები არ არიან და არც სამშობლო უყვართ თქვენზე ნაკლებად ჩვენს მუსლიმ ქართველებს. შეუძლებელი და წარმოუდგენელია ეს თქვენი რიტორიკა და ერის ესე გაყოფა... ერთი ერი ვართ ჩვენ, ერთი სამშობლო გვაქვს. სამშობლო პოლიტიკა არ არის, თქვენც

და ჩვენც ერთი სამშობლო გვაქვს და ჩვენი გზა უნდა მიდიოდეს ევროპაში, ორივესი ერთად, მაგრამ რუსეთისკენ მიდიხართ, რუსეთში „მიგვათრევთ“. გასაგებია, რომ თქვენთვის არ არის მნიშვნელოვანი ხალხის კეთილდღეობა, არ არის მნიშვნელოვანი ევროპული ხელფასი, ევროპული შემოსავალი, ევროპული ჯანდაცვა, ევროპული სოციალური უზრუნველყოფა, მაგრამ თქვენს შვილებს რა უნდა უთხრათ? რუსეთში რომ „მიათრევთ“ ეს უნდა უთხრათ თქვენს შვილებს? არ არის ეს ჩვენი გზა, ჩვენი გზა არის ევროპა.“

მამუკა გუგეშაშვილმა განაცხადა, რომ როდესაც ხელისუფლება ატარებს აქციას, ეს უკვე დასაფიქრებელია - „ვის უტარებს? რას ატარებს? რანაირად ატარებს? რატომ ხლიჩავს ერს? რატომ მოჰყავს ძალით საჯარო მოხელეები, ის ხალხი, ვისაც სინდისის ქენჯანა მაქსიმალურად ტანჯავს?“ და მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „იქნებ შეასმინოთ თქვენს ლიდერებს, მეგობრებს და პარტიას, რომ რუსეთი არის ერის დაღუპვა... როდესაც ამდენი ევროპარლამენტარი და მთელი ამერიკა მოგიწოდებს, რომ არ მიიღო ეს კანონი, სულ რომ არ იყოს რუსული, არ უნდა მიიღო და რაც მთავარია, ქართველი ხალხი და მთელი ახალგაზრდობა გამოვიდა თქვენს წინააღმდეგ... რომ გავა დრო, თქვენ შეგრცხვებათ, დარწმუნებული ვარ. 29-ში მიწვალთ აქციაზე და არ იცით რატომ მიდიხართ... არანაირი რწმენა არ არის ის, რომ ქვეყანას „მიათრევ“ იქ, საიდანაც ძლიერს გამოვედით. რანაირი რწმენა და ლოგიკა ის, რომ ერი მიგყავს პირდაპირ რუსეთში და იმახით ევროპაში მივდივართო. მთელი მსოფლიო მოგიწოდებთ, არ მიიღოთ კანონიო, მარტო დუგინი და გავრილოვი გიკრავთ ტაშს... მოკავშირე აღარ გყავთ, „ქართული ოცნება“ ფაქტობრივად აღარ არსებობს. ვიცით, რომ არჩევნებს აგებთ, შეეგუეთ ამას და არჩევნების და ხელისუფლების სანაცვლოდ ნუ წაიყვანთ რუსეთში ქვეყანას“.

ლევან არველაძემ განაცხადა: „დღეს მოვისმინე ძალიან მძიმე განცხადება ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის მხრიდან, სადაც ჩვენს მომხრებს, ჩვენს მხარდამჭერებს, ჩვენს ოჯახის წევრებს პირდაპირ „ბნელები, ჩმორები, მოსყიდულები“ ეძახა“ და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „ეს ძალიან მძიმე განცხადებაა, მეგობრებო. დღეს თქვენ გამოდიხართ და საუბრობთ, რომ არ უნდა მივაყენოთ ერთმანეთს შეურაცხყოფა, ეს არ არის შეურაცხყოფა? ამას არ თვლით შეურაცხყოფად? ბნელი და წარსული არის გვარამია, მელია და ზურა ჯაფარიძე და მე დარწმუნებული ვარ, 29-ში ძალიან დიდი, მასშტაბური აქცია იქნება, სადაც ჩვენი შვილები, მეგობრები, მხარდამჭერები იქნებიან. ჩვენი ფასეულობებით, ჩვენი კულტურით, ჩვენი რწმენით, ღირსეულად შევალთ ევროპში და თქვენ რასაც გვთავაზობთ, და, მით უმეტეს, გვარამია, კარგად უნდა გახსოვდეთ, რა გუნდის ლიდერები გყავთ და ვინ არიან ისინი. მაშინ, როდესაც გვარამია და მელია „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურები იყვნენ, ევროპაში მივდიოდით? სად იყო მაშინ ბიზნესის თავისუფლება, სად იყო ადამიანის უფლებები? არ არსებობდა. ამიტომ, ნუ გვასწავლით თქვენ, თქვენგან ვერ მივიღებთ, თქვენ დაკარგეთ ყველანაირი მორალური ზღვარი“.

ნინო ვარდოსანიძემ განაცხადა, რომ გამჭირვალობის კანონთან და მის წარმომავლობასთან დაკავშირებით ბევრი ითქვა, თუმცა, კიდევ გაიმეორებს, რომ მსგავსი შინაარსის კანონი მოქმედებს და განიხილება, არაერთ, მათ შორის, ევროპულ ქვეყანაში, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, თან უფრო მკაცრი მექანიზმებით და რეგულაციებით, ვიდრე ეს ქართულ კანონპროექტშია და კანონისთვის სახელის ხელოვნურად დარქმევა არის „დიდი სპეცულაცია“. მისი თქმით, „ჩვენ, ყველა, ერთად უცყურებთ აბსურდის თეატრს და ვხედავთ სხვადასხვა სახის მცდელობებს სხვადასხვა მხრიდან, რომ მანიპულაციით და ემოციებზე თამაშით შეცდომაში შეიყვანონ ჩვენი მოქალაქეები“. განაცხადა, რომ ბევრისთვის რთულია მყისიერად ინფორმაციის გადამოწმება და ადამიანები, გარკვეულწილად, დეზინფორმაციის გავლენის ქვეშ არიან. ასე იყო გუშინაც, კახი კალამის ბრიტინგის შემდგომ, როდესაც მოხდა ფაქტების და ინფორმაციის დამახინჯება და რთულია, მგრამ, ალბათ, სწორია, რომ ყოველ ასეთ ფაქტზე იყოს რეაგირება და სიცრუის მხილება. სინამდვილეში, ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია წაიკითხოს პროექტი, გადამოწმოს თითოეული სიტყვა, გაეცნოს სხვა ქვეყნების მაგალითებს და ნახავს, რომ საშიში არაფერია და საქმე არის მარტივად. კანონი, რომელიც მოქმედებს რუსეთში, არის რუსული, კანონი, რომელიც მუშაობს ამერიკის შეერთებულ

შტატებში, არის ამერიკული და კანონი, რომელიც მიიღება საქართველოში, არის და იქნება ქართული. რეალურად, ამდენი საუბარი არის არა შინაარსზე, არამედ, დაუსაბუთებელ მტკიცებაზე და მოგონილ ბრალდებაზე, ხოლო, რაც შეეხება კანონის შინაარსს, გამჭირვალობაში და ანგარიშვალდებულებაში, რა თქმა უნდა, პრობლემა არ არის და ის, ვინც ამაში პრობლემას ხედავს, თავად აქვს პრობლემა და აქედან გამომდინარე, ალბათ, დასამალიც. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა 29 აპრილის აქციას და განაცხადა, რომ, მისი ინფორმაციით, ძალიან ბევრი ადამიანი მიდის იმ ღირებულებების მხარდასაჭიროდ, როგორებიცაა: ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, ეროვნულობა და თავისუფლება და მისი აზრით, ოპოზიციის რიტორიკა და შურაცხმყოფელი განცხადებები, ბევრისთვის, ალბათ, დამატებითი მოტივაცია იქნება.

ნინო წულაძემ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „29-ში გელოდებით კარტოფილებით და ხახვებით, რაც არის ერთ-ერთი წინაპირობა 29 აპრილის აქციაზე შეკრებისა და თქვენც, ალბათ, თავის დროზე, ხახვით და კარტოფილით ხართ „ქართულ ოცნებაში“ მოხვედრილი. 29 აპრილს შეკრებილ საზოგადოებას აქვს ერთი გამაერთიანებელი ნიშანი - ორივე ხართ სისტემის მსხვერპლი - საჯარო მოხელეები არიან თქვენი ხელისუფლების მსხვერპლი და თქვენ, „დაშინებული და დაგეშილი“, რომ „ნაციონალური მომრაობა“ არ მობრუნდეს ხელისუფლებაში, თქვენც მსხვერპლი ხართ, ოღონდ წინა ხელისუფლების. რუსთაველის გამზირზე შეკრებილ საზოგადოებას გექნებათ ერთი გამაერთიანებელი ნიშანი - ორივენი იქნებით სისტემის მსხვერპლი. იცით ყველაზე ცუდი რა არის? რომ დმერთის სახელით სჩადიხართ ხალხი უღმერთობას - მისდევთ ახალგაზრდა ბავშვებს, ზოგს ბარძაყი აქვს მოტეხილი, ზოგი დაბრმავებულია და ეს არის თქვენთვის სარწმუნოების დაცვა. რომელ სარწმუნოებაზე მეღაპარავებით? თამაზ გინტური სალოცავში მოგიკლეს, ეკლესია აგიჭედეს და ერთი სიტყვა არ გითქვამთ რუსეთის წინააღმდეგ. ებლა კიდე შემოიტანეთ ხელახლა „რუსული კანონი“. რომელ მამულს იცავთ? თუ მამული თქვენთვის მარტო ღარიბაშვილმა რომ ცოლს ტყე აჩუქა ის არის? და პაპუაშვილმა რომ ჰექტრები გადაიფორმა ერთ ლარად, ეგ არის მარტო მამული? ან საერთოდ როგორ ლაპარაკობთ სარწმუნოების სახელით? რატომ არ გრცხვენიათ?.. როდესაც დუგინი გაქებს და შენ კანონს რომ დუგინი და ლავროვი აქებს, როგორ გიჩნდება კითხვა, რატომ არის რუსულიო? თქვენ ხართ ადამიანები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას უზღუდავენ კეთილდღეობას. თქვენ გამო, ყოველდღიურად უფრო უარეს ჭაობში იღვიძებს საქართველოს ახალგაზრდობა. თქვენი მთავარი პროპაგანდისტი, შალვა რამიშვილი, გუშინ გამოვიდა და ძალიან ზუსტად შეაფასა - „რის გამო უნდა გაწირო თავიო, სამშობლოს გამოო? თუ რამე თავგასაწირია, ფულის გამო კიდე მესმისო.“ ამ სისტემის მსახურები არიან ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ ფულის გამო შეუძლიათ თავგანწირვა. თქვენ არაფერი გაქვთ საერთო რწმენასთან, ერთობასთან, დამოუკიდებლობასთან“. საუბრის ბოლოს, მიმართა ნინო ვარდოსანიძეს: „იქნებ წაიკითხოთ ეს კანონმდებლობები, თუნდაც ფრანგული და რაიმე განმასხვავებელი ნიშანი ნახოთ ასეთ ტყუილებს რომ ავრცელებთ. ჩვენ, თქვენგან განსხვავებით, ვკითხულობთ და განსხვავებებსაც ვეძებთ და რასაც გთავაზობენ თქვენი პარტიის ლიდერები, იმას ესე ბრმად ნუ მიიღებთ“.

თინათინ ნიბლოშვილმა მიმართა ყველა იმ ადამიანს, რომელიც 29 აპრილს აპირებს რუსთაველის გამზირზე გასვლას: „ჩვენი პოლიტიკური ოპოზიცია თქვენ გიწოდებთ, ვციტირებ: „სიბრელეს, წარსულს, მოსყიდულებს, მონებს, ჩმორებს და ყველაფერ ნაგავს“ და ორიოდე წუთის წინ ასევე გიწოდეს „კარტოფილი და ხახვი“. ამას ეს ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ აკეთებენ, რომ თქვენი ეშინიათ. ეშინიათ იმიტომ, რომ თქვენ ეს ყველა ადამიანი დაამთავრეთ“. მან ასევე, მიმართა ოპოზიციონერებს: „გასაგებია, რომ არ მოგწონთ ჩვენი სარწმუნოება, მამული „ფეხებზე გვიდიათ“, მაგრამ ენა გვაქვს ძალიან საინტერესო და ერთი მაგარი სიტყვა არის ჩვენს ენაში - „მანქურთი“... დღეს, თქვენ ყველანი ხართ „კოლექტიური მანქურთები“ - უსამშობლო ადამიანები, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებთ მთლიანად ერს და გინდათ რატომლაც, რომ თქვენი ნარატივი გატარდეს ამ ქვეყანაში, გინდათ საჯარო მოხელეები დაბულინგოთ, თქვენ ხართ „ბულერები“. რატომ ხართ ბულერები? გეტყვით: 2017 წლიდან ვარ თბილისის საკრებულოს წევრი, ორ სხვადასხვა კომისიას

ვხელმძღვანელობდი და არცერთ აქციაზე, არცერთ არჩევნებზე ჩვენი არცერთი თანამშრომლისთვის არ მოგვიწოდებია ვინმესთვის მიეცა ხმა, წასულიყო ან არწასულიყო რომელიმე არჩევნებზე. მსგავსი არაფერი ხდება ჩვენს ქვეყანაში. ბაგა-ბაღების თანამშრომლებს, პოლიციელებს, მასწავლებლებს ეძახით „მონებს, ჩოროებს, კარტოფილებს, ხახვებს“ და როგორ გგონიათ 29-ში არ მოვლენ ეს ადამიანები აქციაზე? იცით ამას რატომ აკეთებთ? იმიტომ, რომ თქვენ ხართ რუსები, პენსიონერების პენსიებმოპარული ლიდერები თქვენ გყავთ“. საუბრის ბოლოს, თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ საზოგადოებას შეუძლია ნახოს, თუ როგორ მოიხსენიებს საქართველოს მოქალაქეებს თავის „პისტში“ მამუკა გუგუშაშვილი, რომელიც, მისი თქმით, დღეს „თავისი ფალსიფიცირებული პატრიოტული ნარატივით არის წარმოდგენილი საკრებულოს სხდომაზე“ და მიმართა საზოგადოებას: „ამათი პატრიოტული მოწოდებები, ყველაფერი არის ფალსიფიცირებული. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ „დააბულინგონ“ საჯარო მოხელეები, ადამიანები, ვისაც 29 აპრილს ჩვენს გვერდით დგომა უნდა მაგრამ, არ მგონია, რომ ეს ყველაფერი გამოვიდეს იმიტომ, რომ 29-ში ძალიან ბევრი ადამიანი მოვა და მერე, რამე სათქმელი ხომ უნდა ჰქონდეთ და იტყვიან, რომ ძალით მოყვანილი ხალხია.“

გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ, რა თქმა უნდა, არ მოსწონს, როდესაც ადამიანები გამოდიან იმ კანონის დასაცავად, რომელსაც მთელი ევროპა და ამერიკა ეწინააღმდეგება, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში არ ფიქრობს, რომ ეს ადამიანები არიან „ბნელები“ და ა.შ., რადგან დარწმუნებულია, რომ, როდესაც მთავარი ამბავი იქნება და მართლა გადასაწყვეტი იქნება ეს ქვეყანა უნდა წავიდეს რუსეთის მხარეს თუ ევროკავშირის მხარეს, იმ ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც 29-ში აქციაზე შეიკრიბებიან, გააკეთებს სწორ არჩევანს და დადგება ბევრი სხვა ადამიანის გვერდით, რომლებიც ქუჩაში იდგნენ გუშინ, გუშინწმინდები და კვლავ დადგებიან რაღაც დროს. მისი თქმით, არ შეიძლება ადამიანების ასე დაყოფა და დიფერენციაცია, რადგან შეიძლება ვიღაცას ეშინია, ვიღაცას ფინანსური პრობლემები აქვს, მაგრამ, ყველა ადამიანი, ვინც 29-ში აქციაზე გადის, საბოლოოდ, გააკეთებს სწორ არჩევანს ამ ქვეყნისთვის. გიორგი ონიანმა მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ძალიან ხშირად საუბრობთ ამ ქვეყნის კონსტიტუციურობაზე, დამოუკიდებლობაზე, სუვერენიტეტზე, აქ იურისტები ბევრი გყავთ და მინდა მათ ვკითხო - „ამ კანონის მიღება ამ რეზოლუციის შემდეგ, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს არ ეწინააღმდეგება? ეს ხომ ის მუხლია, სადაც პირდაპირ წერია, რომ საქართველოს მთავრობა და საკონსტიტუციო ორგანოები ყველაფერს უნდა აკეთებდნენ საქართველოს დასაახლოებლად ევროკავშირთან და დასავლეთან. ეს ხომ ესე წერია? ეს ხომ ჯერ არავის შეუცვლა? და როდესაც რეზოლუცია არსებობს უკვე, სადაც მიგითითებენ, არ აქვს მნიშვნელობა სწორად თუ არასწორად, რომ ეს კანონი კი არ გაახლოებს, არამედ პირიქით, გაშორებს ევროკავშირს, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი არ იოღვევა? რა თქმა უნდა, ირლვევა, მაგრამ ეს გაწუხებთ მაშინ, როდესაც პრეზიდენტთან მიმართებაში არის კითხვები და როდესაც თქვენს მიმართ არის კითხვები, სამწუხაროდ, ეს არ გაწუხებთ.“ საუბრის ბოლოს, გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ საქართველოს მოსახლეობის არჩევანი არის ევროპა და საქართველოს, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებიდან გამომდინარე, სჭირდება ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები.

არჩილ გორდულაძემ განაცხადა, რომ შეუძლებელია ამდენი ტყუილის მოსმენა და ისაუბრა იმაზე, თუ რა განსხვავება და რა მსგავსებაა ამა თუ იმ კანონმდებლობაში, რომელიც ახლა არსებობს ან შემდეგში იქნება მიღებული: რეესტრში რეგისტრაცია - ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროკავშირში, საფრანგეთში, საქართველოში, ყველგან სავალდებულოა; დეკლარაციის შევსება ანუ გამჭირვალობა - ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროკავშირში, საფრანგეთში, საქართველოში სავალდებულოა; ვისზე ვრცელდება, ვრცელდება თუ არა ნებისმიერ პირზე - ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროკავშირში, საფრანგეთში ვრცელდება ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, მხოლოდ საქართველოში ვრცელდება იურიდიულ პირებზე და არა ფიზიკურ პირებზე; უცხოური ძალა მოიცავს თუ არა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს - დიახ, მოიცავს. ყველაზე საინტერესო არის, თუ რა პასუხისმგებლობებია: ამერიკის შეერთებული შტატები - ჯარიმა და ხუთ წლამდე პატიმრობა; რუსეთი - ექვს წლამდე პატიმრობა; ევროკავშირი - არ მოიცავს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ

იურიდული პირი ჯარიმდება წლიური ბრუნვის 1%-ით, ფიზიკური პირი - 1000 ევროთი; საფრანგეთი - სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობა; საქართველო - არ ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას და ითვალისწინებს მხოლოდ 25000 ლარიან ჯარიმას. ასევე, ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ შეჩერდება საქმიანობა, რადგან შეუძლებელი იქნება მისი განხორციელება, თუმცა, კანონი გვეუბნება ერთ რამეს - „მითხარი საიდან ჩაირიცხა თანხა, რისთვის ჩაირიცხა, რას მოახმარე და რამდენი მოახმარე, მეტს არაფერს“. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ არ უნდა შეეძლოთ იურიდიულ პირებს საქმიანობა. თუ ხარ პატიოსანი ადამიანი, საქმიანობა არის კეთილსინდისიერი და მიზანი კეთილშობილური, ასეთ შემთხვევაში, თანხები ჩაირიცხება, მაგრამ არ ჩაირიცხება ის თანხები, რომელიც არ არის მიღებული გამჭირვალედ და კეთილშობილური მიზნებით. რაც შეეხება იმას, თუ რატომ გაიწვიეს ეს კანონი წინა წელს, განაცხადა, რომ მაშინ ხელისუფლებამ, საზოგადოების მღელვარებიდან გამომდინარე, პატივი სცა ქართველ ხალხს და დაიცვა მათი სიცოცხლე და ჯანმრთელობის უფლება. მაგრამ საინტერესოა რა ხდებოდა ამის შემდეგ - თითოეული დონორი და არასამთავრობო ორგანიზაცია განსაკუთრებით ის შვიდი „ოდიოზური“ არასამთავრობო ორგანიზაცია, პირობას დებდა, რომ მათი ფინანსები იქნებოდა გამჭირვალე და აუცილებლად დაიდებოდა საიტზე, თუმცა, იდება მხოლოდ ის ნაწილი, რომლის დადებაც თავად სურთ და რომლის ანგარიშის გადამოწმების მექანიზმიც არ არსებობს. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ სამწუხაროდ, ყველაზე მეტად ღირსების შემლახავი არის ის, რომ მავანს სურს დაგვანახოს, თითქოს ერთ მხარეს დგას ევროპა და გამჭირვალობა, მეორე მხარეს დგას ევროპა და მიშა სააკაშვილი; ერთ მხარეს დგას ევროპა და მეორე მხარეს დგას ბიძინა ივანიშვილის დასაწეცირება, ადამიანის, რომელსაც სამი მილიარდი აქცის ქველმოქმედებაში დახარჯული; ერთ მხარეს დგას ევროპა და ღირსება; ერთ მხარეს დგას ევროპა და ადამიანური ფასეულობები, რაც არის სრული ტყული.

ნინო კვიტაიშვილმა მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „კი მქონდა ზოგადად რაღაც მსგავსი მოლოდინი, მაგრამ ასე თუ იქნებოდით ამ ახალ რეალობას დაშორებული და ამ ახალი თაობის ნათევამ სიტყვას, რომელიც არაერთი დღეა გრძელდება რუსთაველის გამზირზე, მაინც არ მეგონა. განსაკუთრებით არ მოველოდი ზოგიერთი ახალგაზრდა პოლიტიკოსისგან ასეთ „უნიჭო დემაგოგიას“. პრინციპში, არანაირ განხილვაში არ უნდა შეხვიდე ისეთ ადამიანებთან, რომლებიც ამ ტრიბუნას მხოლოდ და მხოლოდ იყენებენ იმისთვის, რომ ვიღაცას თავი მოაწონონ, ამავდროულად, რეალურად, პროპაგანდით „დაძებგონ“ პროსახელისუფლებო მედიები. რეალურად, ვფიქრობდი უფრო მეტის თქმას, მაგრამ არ ღირს, ოთხი წინადადება კმარა: არა რუსულ კანონს. არა რუსულ მთავრობას. სრული მხარდაჭერა ჩვენს ახალ პარტიიორობას. კი ევროკავშირს“.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ჩანს, ქვეყანაშიც და ქალაქშიც მძიმე ვითარებაა და ჩანს, რომ დღევანდელი საკრებულოს სხდომა არ არის რიგითი, რადგან ქალაქში, სადაც უამრავი პრობლემაა, მათ შორის, საცობების, გადატვირთული საზოგადოებრივი ტრანსპორტის, გამწვანების, დასუფთავების თუ „მავნებლური მშენებლობების“ კუთხით, გვიწევს ვისაზროთ ზოგად ეროვნულ საკითხზე, ქვეყნის საგარეო კურსზე და „რუსულ კანონზე“, რადგან „აღარც საკრებულო ჰეგავს საკრებულოს, აღარც მერია ჰეგავს მერიას, აღარც სამინისტროები - სამინისტროებს და აღარც მთავრობა - მთავრობას, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ეს ქვეყანა გადააქცია მთლიანად თავისი პირადი მომსახურების სააგენტოდ და უნდა, რომ ამ ქვეყნის ყველა მოქალაქე, ყველა საჯარო მოსამსახურე იცავდეს არა ქვეყნის ინტერესებს, არამედ, მის რუსეთში ნაშოვნ მილიარდებს და იცავდეს მის დარჩენას ხელისუფლებაში“. ისაუბრა იმაზე, თუ რატომ არის ეს კანონი რუსული და განაცხადა, რომ დასავლელი პარტიიორები, ევროპარლამენტარები გვეუბნებიან, რომ ეს კანონი გვაშორებს ევროპას და ყველაფერი, რაც გვაშორებს ევროპას, გვაახლოებს რუსეთთან და შესაბამისად, ამიტომ არის ეს კანონი რუსული. მისი თქმით, „ბიძინა ივანიშვილი, მხოლოდ იმიტომ, რომ დარჩეს ხელისუფლებაში, მხოლოდ იმიტომ, რომ დაიცვას თავისი რუსული მილიარდები, მზად არის ქვეყანა დააყენოს სანქციების წინაშე, მზად არის, ქვეყნამ დაკარგოს ხალხის მიერ მოპოვებული კანდიდატის სტატუსი, მზად არის უარი თქვას ქვეყნის ევროპულ პერსპექტივაზე, მზად არის დათმოს ვიზალიბერალიზაცია

და მზად არის, სამწუხაროდ, ყველაფრისთვის". ირაკლი წადირაძე გამოეხმაურა 29 აპრილის აქციას და განაცხადა, რომ, მაშინ, როდესაც ხელისუფლება ახალგაზრდების, მომავალი თაობის, მოქალაქეების გულწრფელ პროტესტს უპირისპირებს იძულებით მოყვანილი საჯარო მოხელეების აქციას, ეს არის არა მალის დემონსტრირება, არამედ უდიდესი სისუსტის გამოვლინება და ნიშნავს იმას, რომ „ქართული ოცნება“ არის თვითლიკვიდაციის პროცესში. საუბრის ბოლოს, მიმართა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს: „სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ორშაბათს ვნახავ ძალიან ბევრ მიკროვტობულს, ავტობუსს, ვნახავ ძალიან ბევრ ბალის თანამშრომელს, სკოლის თანამშრომელს, რომლებიც იძულებით იქნებიან მოყვანილები, მაგრამ, იცოდეთ, რამდენი ადამიანიც არ უნდა მოიყვანოთ იძულებით, რამდენ ადამიანსაც იძულებით არ უნდა დააკვრევინოთ ტაში, გულწრფელი მოქალაქეები კიდევ უფრო მეტი გამოვალთ და კიდევ უფრო ხმამაღლა ვიტყვით: კი ევროპას, არა რუსულ კანონს და არა რუსულ მთავრობას“.

ვლადიმერ ბოჭაძემ მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „ილია ჭავჭავაძე წაკითხული რომ გქონდეთ რომელიმეს, გეცოდინებოდათ რა დაწერა - „დღესაც, მთელს ამიერკავკასიაში, ქართველი და ქრისტიანი ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან, გაქრისტიანდაოს მაგივრად, გაქართველდაო ამბობენ.... ქრისტიანობისთვის გავწყდით, გავიულიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის ამ ერთმა მუჭა ერმა და ქრისტიანობა შევინახეთ“... სამი სიტყვა გაქვთ ილია ჭავჭავაძის წაკითხული და მესამე სიტყვა - „სარწმუნოება“ პრაიდის თაბაგარს შეაცვლევინეთ „ერთობათი“ და დგახართ აქ და ერთობის მნიშვნელობაზე მელაპარაკებით. ილია ჭავჭავაძემ ერთობა კი არა, ისტორია დაწერა სარწმუნოების მაგივრად, სწორედ ჩვენი აჭარელი ძმების საპატივცემულოდ“. ვლადიმერ ბოჭაძემ ისაუბრა 29 აპრილის აქციაზე და განაცხადა, რომ ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც, ყველა ნახავს ვინ არის „ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი - ეს არის მისი აღმატებულება ქართველი ხალხი“ და კვლავ მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „რაც შეეხება თქვენი მოსყიდული ფოტიგების, კუბილიუსების და დანარჩენების, სააკაშვილის პენსიონერ დედასთან ერთად დაწერილ რეზოლუციას, სადაც აფხაზეთი და ყირგიზეთი ერთად დამიწერეთ, მაგ რეზოლუციის შედეგი იქნება ნული... ნული იქნება სააკაშვილის გამოშვება... ნული იქნება ივანიშვილზე სანქციები... ლგბტ კანონის მიღებაზე იქნება ნული და გამჭირვალობის კანონზეც“. ვლადიმერ ბოჭაძე გამოეხმაურა ნინო წულაძის გამოსვლას, რომელიც მისი თქმით, ამომრჩევლებს „მოსყიდულს, მშიშარას, გაყიდულს“ ეძახის და ამზობს, რომ თურმე, მათი ამომრჩეველი ხუთი კილო კარტოფილის სანაცვლოდ „ქართულ ოცნებას“ აძლევს ხმას და მიმართა მას: „ხუთ კილო კარტოფილზე მეტი ფასი რომ გექნებათ, მაშინ მიიღებთ მათ ხებს“. საუბრის ბოლოს, განაცხადა: „მთელს საქართველოს, ჩვენს ძმებს - სომხებსაც, აზერბაიჯანელებსაც, ყველას მოვუწოდებ, რომ მოვიდეთ, დავიცვათ ჩვენი მამული იმიტომ, რომ ყველა უფლება დაცულია და დავიცვათ სარწმუნოება, რომელიც ამათ თურმე, ქრისტიანობა ჰერიტაჟის მხოლოდ და არც მუსულმანებს, არც სომხებს, არც კათოლიკეებს, არავის პატივს არ სცემენ. ამიტომ, 29-ში მთელი საქართველო დავდგებით მამულის, ენის, სარწმუნოების დასაცავად და გავაგებინებთ თქვენს კორუმპირებულ, მოსყიდულ ევროპარლამენტარებს, რომლებიც ორ თვეში ევროპარლამენტში ან იჯდებიან, ან არა, მაგათი გადასაწყვეტი საქართველოს ბედი არ არის, ამას გადაწყვეტს ქართველი ხალხი“. ვახტანგ სურგულაძემ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „როდესაც კანდიდატის სტატუსი მოგვანიჭეს, მეგონა, რომ მართლა არ გვექნებოდა ასეთი სხდომები, მეგონა, რომ რაღაც ერთნაირი ლირებულებები გაგვაჩინა. არა, ჩვენ გვაქვს ძალიან განსხვავებული ღირებულებები. ჩვენ აბსოლუტურად სხვადასხვანაირად გვესმის რა არის ევროპა, რა არის ევროპული ღირებულება“. განაცხადა, რომ ქვეყანაში არის ძალიან სერიოზული პრობლემა, თუმცა, ახლანდელ ხელისუფლებას სულ მოჰყავს იმის მაგალითები, თუ რას აკეთებდნენ წინა ხელისუფლებები და ისაუბრა იმაზე, რას აკეთებდნენ ისინი - შევარდნაძემ ასლან აბაშიძეს ჩამოავყანინა ნახევარი აჭარა, მიშა სააკაშვილმა დინამო სტადიონი გაავსო სამინისტროს თანამშრომლებით და დღევანდელი ხელისუფლებაც იგივეს აკეთებს - დაშინებით მოჰყავს

ბაღის და სკოლის პედაგოგები. მისი თქმით, ყველას გვახსოვს, რითი დამთავრდა წინა ხელისუფლებების მოღვაწეობა და მიმართა „ქართული ოცნების“ წევრებს: „თქვენ, რომელიც იძახით, „ორი გვამი, ორი გვამიო“, ის ადამიანი, რომელიც მონაწილეობდა „ორ გვამში“, დააწინაურეთ და ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული პოლიციელია. აღარაფერს ვამბობ პოლიტიზირებულ სასამართლოზე, იმ ხალხზე, ვისაც თქვენ ებრძოდით. მიქაუტაძე, მილიონერია, „დედიკო“ ეხმარება თურმე და იმ „ორჯერ ნაპრემიერალს“ კიდე, „მამიკო“ ეხმარება“. ხო სირცხვილია ეს ყველაფერი? რა საჭირო იყო ამ კანონის ახლა წამოწევა? საჭიროება ის იყო, რომ გეშინიათ, რომ წააგებთ შემდეგ არჩევნებს. არ არის პრობლემა არჩევნების წაგება. მთავრობები მოდიან და მიდიან... არ არის პრობლემა ხელისუფლებიდან წასვლა“.

ანა გოგოლაძემ მიმართა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს: „სიყალბე ქართულ პოლიტიკაში აღარავის უკვირს, არც პოპულიზმი, მდაბიო კლასიც არავის უკვირს. რაც შეეხება კანონს, კოლეგებო, პოლიტიკურ ინსტიტუტში უსხედვართ და უნდა გვესმოდეს, რომ მას მხოლოდ სამართლებრივი დატვირთვა არ აქვს, კანონი არის პოლიტიკური მიზნის და პათოსის მატარებელი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო მიზნებს. ამ კანონს, არათუ ქართულთან, არაფერი აქვს საერთო სახელმწიფო ინტერესებთან. რაც არ უნდა მუხლობრივ განხილვაში შეიყვანოთ მოსახლეობა, პედალირება ამ საკითხზე გააკეთოთ და რაღაც ფსევდო პროცესი შექმნათ, უნდა გესმოდეთ, რომ ამ კანონს პათოსი, მიზანი და სულისკვეთება აქვს რუსული. თუ სხვა ინდიკატორებს არ მოვიშველიერთ, ძალინ მარტივი ინდიკატორები მოვიშველიოთ, რაც ყველა განათლებას მოერგება ვინც აქ ზის, უმაღლესი განათლების დეპუტატებზე არ მაქვს საუბარი, მათ შორის, ცოტა დაბალზეც, ყალბი პოპულიზმით რომ გამოირჩევიან. მარტივი ინდიკატორები: ვინ არის ამ კანონის და „ქართული ოცნების“ ქცევის მაქებარი: პესკოვი, ზახაროვა, სიმონიანი. შარშანდელიდან მოყოლებული, წლევანდელი წლით დამთავრებული, მხოლოდ მათგან ისმის „ქართული ოცნების“ ქება-დიდება, ჩამომითვალეთ სხვა რომელიმე მოკავშირე, მეგობარი ან სტრატეგიული ქვეყნები, რომლებიც ოცდათხუთმეტი წელია ფეხზე დადგომაში ეხმარებიან ამ სახელმწიფოს თავდაცვის, ჯანდაცვის, განათლების, უსაფრთხოების, სასამართლოს, დემოკრატიის თუ წებისმიერი მიმართულებით. რუსეთი ამ ქვეყანაში, სარწმუნოებასაც კი გვართმევდა, ფრესკა თუ სადმე წაშლილია, რუსეთის წაშლილია, თუ რამე დანგრეულია, რუსეთის დანგრეულია და თუ რამე ვინმემ გაგვინადგურა, რუსეთის განადგურებულია. ვინ გაქებს? რუსეთი გაქებს. საზღვარი აქვს ყველაფერს. აქ რომ იძახით „რა აქვს ამ კანონს რუსულიო?“ კანონი არ არის ჯერ მიღებული და ნახეთ კომახიძის გამოსვლები, ნახეთ კალაძის გამოსვლები, პათოსი ნახეთ ამ გამოსვლების - დისკრედიტაციას ემსახურება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების. ეს არის ანტიდასავლური და ჩვენი სტრატეგიული მეგობრების მარგინალიზაციისკენ, დისკრედიტაციისკენ მიმართული. იცით რატომ? ისინი აფინანსებენ ამ ქვეყანაში გამჭირვალობას, ანგარიშვალდებულებას, პასუხისმგებლიანი პოლიტიკის კეთებას, რასაც დიდი ხანია გასცდა „ქართული ოცნება“. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა იმ განცხადებებს, რომ თითქოს ოპოზიციას ეშინია და განაცხადა, რომ თუ ვინმეს ეშინია, ეს არის „ქართული ოცნება“, რომელიც დღეს არის წყობიდან გამოსული და ეშინია იმ ჯიუტი პატრიოტების და პროფესიონალების, რომლებიც დგანან გარეთ და იცავენ ეროვნულ ინტერესებს.

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ, ამ კანონს ებრძვიან მხოლოდ ერთ-ერთი პარტიის პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც „მოკალათებული“ არიან ევროკავშირის ბიუროკრატიულ სტრუქტურებში და აშანტაჟებენ ქვეყანას. აქვე განაცხადა, რომ ეს ყველაფერი ახსენებს ყველაზე ეროვნული ხელისუფლების ლიდერს ზვიად გამსახურდიას, რომელსაც, მაშინ, როდესაც უნდოდა დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება, მთელი მსოფლიო ეუბნებოდა, რომ მიდიოდა დინების საწინააღმდეგოდ, თუმცა, საქართველო ამას არ შეეპუა, „თავისი გაიტანა“ და დღესაც „იგივეს გაიტანს“. კახაბერ ლაბუჩიძის თქმით, გამჭირვალობის კანონი ითვალისწინებს, იმას, რომ მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდეს, რა ფული შემოდის და რაში იხარჯება ის, სხვა არაფერი წერია კანონში და მაშინ, როდესაც 34000 არასამთავრობო ორგანიზაციაა საქართველოში, ეს აუიოტაჟი ატეხილია მხოლოდ ხუთი მათგანის გამო და განაცხადა, რომ „ამ კანონს განა აუცილებლად მივიღებთ, აუცილებელია, რომ მივიღოთ“.

ირაკლი ეძგვერამერ მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „26 მარტს იყო ყველა ქართველისთვის უბედინერები დღე, როდესაც ეროვნული ნაკრები გავიდა ევროპის ჩემპიონატზე და ჩვენ ვხედავდით, როგორ გაერთიანდა მთელი ერი, როგორ ზეიმობდა მთელი ქვეყანა, როგორ ულოცავდნენ ერთმანეთს ქალი, კაცი, მოხუცი თუ ბავშვი. ერთი კვირაც არ აცადეს ადამიანებს ეს ერთობა და ბედნიერება რომ შეერგოთ. რას ემსახურება ეს „რუსული კანონი?“ რუსული არის, არ არის, ამას ისტორია განსაზღვრავს, ყველაფერს დრო დაარქმევს თავის სახელს. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებს, ევროპარლამენტარებს, ყველა საგარეო საქმეთა მინისტრს, ოცდაშვიდი ქვეყნის ელჩს, სახელმწიფო დეპარტამენტს, აბსოლუტურად ყველა ჩვენს მეგობარს, ვისთანაც სტრატეგიული პარტნიორობა გვაქვს, ვინც ჩვენს დამოუკიდებლობას იცავს, ყველას დაუპირისპირდით, რომ ამბობთ ეს კანონი რუსული არ არისო, მთელ ახალგაზრდობას უპირისპირდებით, ბაზუებს შვილიშვილებს უპირისპირებთ, მამებს და დედებს შვილებს უპირისპირებთ... ბევრი პარლამენტარის შვილი დავინახე, მათი ძმისშვილები დავინახე აქციებზე. როგორ არის ეს? მამების არ სჯერათ? დედების არ სჯერათ იმ ახალგაზრდებს?“

ნინო რუხაძემ განაცხადა, რომ ძალიან გულდასაწყვეტია ის რეზოლუცია, რომელიც გუშინ ევროპარლამენტმა მიიღო, ვინაიდან უჩჩდება მარტივი კითხვები: რით ვერ დაიმსახურა ამ ქვეყანამ და რით ვერ დაიმსახურა ამ ხალხმა, რომ მივიღოთ ყველასთან თანაბარი მოპყრობა? იმ ფონზე, როდესაც ქართული კანონპროექტის ანალოგიური კანონი მოქმედებს საერთო სამართლის წამყვან ქვეყნებში: ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაერთიანებულ სამეფოში, ავსტრალიაში და იმ ფონზე, როდესაც ქართულ კანონპროექტზე უფრო მკაცრი მიღვომების კანონპროექტები განიხილება ევროკავშირში და ევროკავშირის ცალკეულ სახელმწიფოებში, რით ვერ დავიმსახურეთ, რომ მივიღოთ განმარტება, რატომ არის კატეგორიულად მიუღებელი უფრო რბილი შინაარსის მქონე ქართული კანონპროექტის მიღება? რით ვერ დაიმსახურა ამ ქვეყანამ და ამ ხალხმა, რომ ჩვენი საკითხები არ განიხილებოდეს ზედაპირულად? არ ითხოვდნენ იმ ადამიანების გათავისუფლებას, რომლებსაც უმძიმესი დანაშაულები აქვთ ჩადენილი კონკრეტული ადამიანების, ოჯახების და ქვეყნის წინაშე და არაფრად აგდებდნენ ამ დანაშაულებს? რით ვერ დაიმსახურა ამ ქვეყანამ და ხალხმა, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა იქნეს პატივცემული და ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი, მათ შორის, პირდაპირ და არაორაზროვნად აღიარონ, რომ ჩვენი ქვეყანა არის ოკუპირებული რუსეთის მიერ და ჩაწერონ რეზოლუციებში და სხვა სამართლებრივ აქტებში, რომლებიც მიიღება ევროკავშირის ინსტიტუციებში? რით ვერ დაიმსახურა ჩვენმა ქვეყანამ, რომ მის განუყოფელ ნაწილებს არ მოიხსენიებდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ?

საბა ბუაძემ განაცხადა: „ამას ვერაფერს დავარქმევ სხვას, თუ არა „ივანიშვილის რუსული სპეცოპერაცია ჩვენი ევროპული მომავლის წინააღმდეგ“. აი, ეს პროცესი მიმდინარეობს ახლა და წყდება ვინ არის ამ პროცესის მონაწილე და ვინ არის ამ პროცესის წინააღმდეგ. როდესაც ყველა პარტნიორი გეუბნება, რომ „არ მიიღო ეს კანონი“, „ეს კანონი დაგაშორებს ევროკავშირს“ და მაინც იღებ ამ კანონს, თან ლანგმავ იმ სივრცეს, რომლის ნაწილიც გინდა რომ გახდე, ეს არ არის ევროპა, ეს არის ამქეყნის ღალატი. თურმე, ჩვენი პარტნიორების გზავნილებს აქვს „ჩალის ფასი“. მაშინ, რისი ფასი აქვს კობახიძის და მდინარაძის სიტყვებს, რომლებმაც ზუსტად ერთი წლის წინ ქართველ ხალხს უთხრეს, რომ გაიწვევდნენ ამ კანონს და აღარასდოოს აღარ დააბრუნებდნენ. რა ფასი აქვს მათ სიტყვას და რა ფასი აქვთ საერთოდ მათ, როგორც „ივანიშვილის ყველა სიბინძურის გამტარებს?“ მე არ შემიძლია არ გამოვხმაურო იმ „პოლიტიკურ სიბეცეს“, რომელიც მოვისმინეთ დედაქალაქის მერისგან, რომელიც არის ამ „ამაზრზენი კამპანიის“ ერთ-ერთი მთავარი სპიკერი - თურმე, გამჭირვალობისთვის იბრძვის კალამე მაშინ, როდესაც ათასზე მეტი უპასუხო წერილი აქვს მარტო ამ საკრებულოს წინაშე. თურმე გამჭირვალობა არის ფასეული. მოითხოვეთ თქვენ, საკრებულოს უმრავლესობამ, რომ გამოგვიგზავნონ ის წერილები, რომლებიც კანონით გვეკუთნის, ხომ გამჭირვალობაშია საქმე და ხომ ფასეულია გამჭირვალობა? თქვენ დაქვემდებარებულ სააგენტოებს უთხარით გამოაგზავნონ ის ინფორმაცია, რომელსაც ორ წელზე მეტია მაღლავენ თუ გამჭირვალობაშია საქმე. მაგრამ, არანაირ გამჭირვალობაში არ არის საქმე, ეს არის „რუსული სპეცოპერაცია ამ

ქვეყნის მომავლის წინააღმდეგ". მინდა მივმართო დედაქალაქის მერს, რომელიც ამავდროულად არის საქართველოს თვითმმართველობების ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, იმ ასოციაციის პრეზიდენტი, რომელიც წლების განმავლობაში იღებდა და იღებს ჩვენი პარტიიონების დონორულ დახმარებას - ბატონო კახა, როდის აპირებთ, რომ დარეგისტრირდეთ უცხო ძალის ინტერესების გამტარებლად?" საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ ისტორია შეაფასებს ყველას და ყველაფერს და, კოლეგებთან ერთად, კიდევ ერთხელ განაცხადა: „არა რუსულ კანონს“.

შალვა ოგბაიძემ 29 აპრილის აქციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თავად აქციაზე მიდის ოჯახთან და შვილიშვილებთან ერთად, რადგან სურს, რომ მისი შვილიშვილები „იმ სურნელით გაიჟღინთონ, რასაც ნაღდი საქართველოსთვის გულანთებული ადამიანების ერთობა ჰქვია“. ისაუბრა მართლმადიდებლობასა და შიძტევებლობაზე და განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, მის მიმართ ჩადენილი ცოდვები მიუსცევა გიორგი ონიაზს, რადგან მის თვალებში დაინახა, რომ ის ბოდიშს იხდიდა და მიმართა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს: „რომელიმე თქვენგანს ბოდიში მოუხდია ჩემი შვილების „ძვლებში დამტვრევისთვის?“ თუ ფსალმუნებით ხელმძღვანელობდნენ, როდესაც მე დამიჭირეს?“ ასევე, ისაუბრა რუსეთისკენ სვლაზე, აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, არასამთავრობო ორგანიზაცია „სააკტომობილო ფედერაცია“ იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც რუსეთს გამოიყო და გაწევრიანდა მსოფლიო და ევროპულ სტრუქტურაში - საერთაშორისო სააკტომობილო ფედერაციაში და 1998 წლიდან, ყოველწლიურად, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდის გამოკლებით, აქ ტარდებოდა ეროვნული ჩემპიონატი და განაცხადა: „აი, ასეთია, ჩვენი სვლა რუსეთისკენ“.

ზვიად კუპრავამ განაცხადა: „საქართველო არის ევროპა და ის არასდროს გახდება რუსეთი. შესაბამისად, ეს კანონი არ და ვერ იქნება მიღებული. რაც შეეხება 29 აპრილის აქციას, ამიერიდან ბიძინა ივანიშვილის ყველა სვლა არის „ცუგცვანგი“ და ამიტომ, მას, ამიერიდან მოუწევს არჩევანის გაკეთება მხოლოდ ცუდს და უარესს შორის“. ისაუბრა მის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე და განაცხადა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მის მიმართ, ბრალდებულის სტატუსით, მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე 1621-ე მუხლით, მოსამართლე გიზო უბილავასთან და პროკურორ თამარ იაკობიძესთან. ასევე, ამავე მუხლით, ამავე ეპიზოდზე, მოსამართლე რომეო ტყეშელაშვილთან, აქვს დაზარალებულის სტატუსი, სადაც იგივე ქალბატონი, თამარ იაკობიძე, საუკეთესოდ იცავს მის უფლებებს. პროკურატურის მაღალი სტანდარტის შესაბამისად, წარმოუდგენელია, ერთსა და იმავე ეპიზოდზე ქალბატონი თამარ იაკობიძე ერთ მოსამართლესთან იცავდეს მის ინტერესებს, ხოლო მეორე მოსამართლესთან იქცეოდეს საპირისპიროდ. ვინაიდან მოსამართლე რომეო ტყეშელაშვილთან სასამართლო პროცესზე მისვლა აღარ უწევს, მიმართა საკრებულოს წევრებს და პროკურატურის წარმომადგენლებს, იხელმძღვანელონ საქართველოს პროკურატურის და სასამართლოს მაღალი სტანდარტების შესაბამისად და პროკურორ თამარ იაკობიძეს მისცენ რეკომენდაცია თვითაცილების შესახებ, რადგან „სამართლებრივი ანომალია“ ის, რომ ერთი და იმავე ეპიზოდზე, ერთი და იგივე პროკურორი, ერთ მოსამართლესთან, საკმაოდ კვალიფიციურად და კარგად, იცავდეს მის ინტერესებს ხოლო მეორე მოსამართლესთან გამოდიოდეს როგორც ბრალმდებელი.

მარიამ ზაქარიაშვილმა განაცხადა, რომ ვერ ხვდება, რა უფლებით შეიძლება თქვან, რომ თვითონ იყვნენ ევროპული ინტერესების გამტარებლები და ევროპული ხელისუფლების გარანტი იმ პარტიის წარმომადგენლებმა, რომლებმაც სრულად „გადაუარეს“ ევროპულ ღირებულებებს და თავისუფლებას, შელახეს მოქალაქეების ღირსება, აწამეს, მოკლეს, გააუპატიურეს ადამიანები და მიმართა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს: „ეს არის თქვენი ევროპის აღქმა? ეს არის სამშობლოს სიყვარული და თავისუფლება? რატომდაც გვონიათ, რომ ჩვენს თაობას არ ახსოვს თქვენი ჩადენილი სიბოროტეები, მაგრამ ეს ესე არ არის და ამ ყველაფერს განახებთ, როგორც არჩევნებზე, ისე 29 აპრილსაც. დამიჯერეთ, ქვეყანაში

ნამდვილად უამრავი ისეთი ახალგაზრდა ვართ, ვისთვისაც მამული, ენა, სარწმუნოება პრიორიტეტია და ამ ყველაფერს ორშაბათს აუცილებლად ნახავთ.“

ნათია მოდებაძემ განაცხადა, რომ დღევანდელი ოპოზიციისთვის ამოსავალი არ არის ეს კანონი და მისი შინაარსი, ისინი ამ კანონს იყენებენ მიზეზად, რომ ადამიანები კიდევ ერთხელ შეიყვანონ შეცდომაში, რადგან „გავეშებით“ იბრძვიან ხელისუფლებისთვის, თუმცა, ყოველდღიურად აკლდებათ მხარდამჭერები. ისაუბრა ევროპარლამენტის რეზოლუციაზე და განაცხადა: „ივანიშვილის დასანქცირებას რომ ითხოვენ და სააკაშვილის გამოშვებას რომ ითხოვენ თუ რეკომენდაციას გვაძლევენ, ეხლა ჩვენ გვითხეთ, მე მკითხეთ, ადამიანს, რომელმაც დავკარგე ფაქტობრივად მშვიდი ახალგაზრდობა, გავიარე რამდენიმე წელი უმეგობროდ, ვიცხოვრე „ხიდჩატეხილობაში“ - ვერავინ ბედავდა ჩემთან საუბარს, ქუჩაში შეხვედრას, სოციალურ ქსელში ფოტოს გავრცელებას და ა.შ., შანტაჟში, უმუშევრობაში, გაჭირვებაში და ყველა უბედურებაში, რაც თქვენს ხელისუფლებას ახასიათებდა, ვუჭერ თუ არა მხარს სააკაშვილის გათავისუფლებას. ჰკითხეთ მოლაშვილების ოჯახს, ჰკითხეთ ვაზაგაშვილების ოჯახს, ჰკითხეთ თეთრაძეს, დავითაშვილის ცოლ-შვილს ჰკითხეთ. ევროპარლამენტარები წყვეტილ ამ ქვეყანაში რა დაკანონდეს და არა თუ ის ადამიანები, რომლებიც შეეწირნენ მის მმართველობას და იმას, რომ რამდენიმე წლით გაეხანგრძლივებინა ხელისუფლებაში ყოფნა? თითის ქნევით საუბარს ქართველი ხალხი არც რუსეთისგან აიტანს და ვერც ევროპისგან და ამერიკისგან, ასე იყო და ასე იქნება ყოველთვის“. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ მსგავსი რეკომენდაციები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სარეკომენდაციოა, არაერთხელ მიუღიათ ამ პარლამენტარებს, მაგრამ მთავარი, ვინც ამ ქვეყანაში რეზოლუციას მიიღებს, არის ქართველი ამომრჩეველი.

ლევან ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ძალიან ბევრი იმუშავა „ქართულმა ოცნებამ“ რათა მიგვეღწია იმ პროგრესისთვის, რასაც მივაღწიეთ ევროპულ გზაზე და ყველაზე მთავარია, რომ დავიცავით ეს პროგრესი კონსტიტუციურად, რაც გაფაკეთეთ არ ვინმეს ხათრით და ძალდატანებით, არამედ, ქართველი ხალხის სურვილიდან და მისწრაფებიდან გამომდინარე. მისი თქმით, ქართველ ხალხში არის ყველაზე დიდი ევროპული მისწრაფება და არ სურს, რომ ეს მისწრაფება დაზარალდეს ჩვენი მტრების, მეგობრების თუ ვითომ მეგობრების გაუაზრებელი ან გააზრებული ქმედებით. არ შეიძლება ქართველ ხალხს ელაპარაკო ულტიმატუმებით, არ შეიძლება მას ელაპარაკო და დააყენო ისეთი არჩევანის წინაშე, რომ „ან ეკლესიის ძაგება ან ევროპა“, „ან ვითომ მომაკვდავი, სისხლისმსმელი, დამნაშავის გარეთ ყოფნა, ან ევროპა“, „გამჭირვალობა ან ევროპა“, „ყველაზე დიდი სიკეთის მქნელი ადამიანისთვის სანქციები და ზურგის ქცევა ან ევროპა“. არ იქნება ასეთი მიუღებელი ულტიმატუმი ქართველი ერისთვის მისაღები, ეს იქნება სწორედ ყველაზე მეტად დამაზიანებელი ჩვენი ევროპული ინტეგრაციისთვის, რადგან ქართველმა ხალხმა არ უნდა დაკარგოს სურვილი, რომ ყოველთვის ევროპისკენ გვქონდეს გეზი, რისთვისაც ვიმუშავებთ უფრო მეტს და სწორედ მშვიდობით და ღირსებით ვივლით მშვიდობიანი, ლირსეული, ევროპისკენ და ამას გავაკეთებთ ერთგულ, ძალიან პროგრესულად მოაზროვნე, პატრიოტ, ქართველებთან ერთად.

გივი ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ ორი თვის შემდეგ, აბსოლუტურად სხვა მოცემულობა იქნება ევროპარლამენტში, თუმცა, მიუხედავად ამისა, კონკრეტულმა ადამიანებმა დაიჯერეს, რომ ეს რეზოლუცია რამის მთქმელია. სინამდვილები ეს არის კარგად გათვლილი პროვოკაცია, რომელსაც ქართველი ხალხი სწორად შეაფასებს და 29 აპრილს, ყველა ერთად, კიდევ ერთხელ, ვეტყვით ყველას, რომ ჩვენთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ყველაფერი ქართული და მოუწოდა მოქალაქეებს ერთად დადგნენ მამულის, ენის და სარწმუნოების დასაცავად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ გოგიტიძე

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გურამ ოქროპირიძე

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125<sup>2</sup> მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134<sup>1</sup> მუხლით, 135-ე-135<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125<sup>2</sup> მუხლით, 135-ე-135<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმი ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

